მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

იანვარი (შვატი) №1 (474) (5781) 2021

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

რა ხდება?! ვინ დაისაჭიროვა საქართველოში ანტისემიტიზმის ეშმა გაელაღებინა და რა მოყვა ამ სამარცხვინო მცდელობას?

საქართველოში ისრაელის ელჩის, რან გიდორის განცხადება

მას შემდეგ რაც იოანე გამრეკელმა იქადაგა, 20 დეკემბერს, და 31 დეკემბერს, მანვე (მიტროპოლიტმა გამრეკელმა) გამოაქვეყნა განმარტებითი წერილი თავის ქადაგებაზე:

„20 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტმა, ქუთაის-გაენათის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე იოანე გამრეკელმა ბაგრატის ტაძარში წარმოთქვა ქადაგება, რომელიც სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა და ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით შემაშფოთებელია. ამიტომ ჩემთვის იმედისმომცემი იყო 31 დეკემბერს მიტროპოლიტის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული განცხადება, რომელშიც მან განმარტა, რა იყო ნაგულისხმევი მის სიტყვაში, კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი პატივისცემა ებრაელი ხალხის მიმართ და დაგმო ანტისემიტიზმი.

ორი ათას წელზე მეტია საქართველო მშობლიური სახლია წარმატებული ებრაული თემისთვის და ჩვენი ქართველი მეგობრები და პარტნიორები ყოველთვის სამართლიანად ამაყობენ იმ ფაქტით, რომ მათ ქვეყანაში ანტისემიტიზმი ფაქტიურად არ არსებობდა. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეს უკანასკნელი განცხადება და ტოლერანტობის გზავნილი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთ თვეზე ნაკლებია დარჩენილი ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღემდე (27 იანვარი) და სულ რამდენიმე კვირაა გასული, რაც ისრაელმა - ებრაულმა სახელმწიფომ - გულუხვად გაიღო სახსრები და ასევე გადასცა აღჭურვილობა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისს, რათა დაეხმაროს საქართველოს **Covid**-19-ის პანდემიასთან ბრძოლაში.

ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ახალ წელს შევხვდეთ ღრმა რწმენით, რომ ქართველებსა და ებრაელებს შორის მეგობრობა ისეთი მტკიცეა, როგორც არასდროს და რომ ანტისემიტიზმს, რასიზმსა და ფანატიზმს ქართულ საზოგადოებაში ადგილი არ აქვს.

ისრაელის ელჩი ილია II-ს იუბილეს ულოცავს და „ანტისემიტური გზავნილების გავრცელებაზე“ საუბრობს

„ვუერთდები ჩემს კოლეგებს და ვულოცავ მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს დაბადების დღეს. მისი უწმინდესობა ისრაელისა და ებრაული თემის ერთგული მეგობარია.

მისი, როგორც სულიერი წინამძღვრის როლი დღეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პანდემიისა და ეკონომიკური სირთულეების პირობებში და ასევე, ახლახან გავრცელებული რასისტული, ანტისემიტური და არატოლერანტული გზავნილების სამწუხარო ფაქტიდან გამომდინარე, ვუსურვებთ მას დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას“ . – წერს რან გიდორი.

20 დეკემბრის ქადაგებაში მეუფე იოანემ ებრაელთა თემი „ქრისტიანთა მდევნელად“ წარმოადგინა, რომელთაც „დღესაც აქვთ გავლენა სამეფო კარზე“ . ამასთან, მიტროპოლიტმა იოანემ ისინი „ურწმუნო მოდგმადაც“ მოიხსენია. ქადაგების საპასუხოდ ბასილ კობახიძემ დაწერა, რომ „თავისი ანტისემიტიზმის გასამყარებლად სრულიად გაუკუღმართებულად მოჰყავს ერთი ამბავი წმ. ამბროსი მედიოლანელის ცხოვრებიდან.“

ბექა მინდიაშვილის შეფასებით კი, „ქრისტეს ჯვარცმაში ებრაელი ერის დადანაშაულება, ებრაელთა „ურწმუნო მოდგმად“ შერაცხვა არის ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მორალური, თეოლოგიური და იურიდიული დანაშაული, ეკლესიების სამარცხვინო პოზიცია იყო ინსტიტუციონალური ანტისემიტიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საფუძველი.“

მეუფე იოანეს ქადაგებას ქადაგებას ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტიც (TDI) გამოეხმაურა. თI გმობს საეკლესიო ანტისემიტიზმს და აცხადებს, რომ იოანე გამრეკელის ქადაგება უკიდურესად შემაშფოთებელია.

ისრაელში საქართველოს ელჩმა, ლაშა ჟვანიამ კი დაწერა, რომ მეუფე იოანეს კრიტიკა ცილისწამებაა, ებრაელების და სხვა ერების სიყვარული კი მას მეუფე იოანემ გაუძლიერა.

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

მეუფე იოანეს ანტისემიტური ქადაგება, კონსპიროლოგია და „ურწმუნო მოდგმა“

„ამბროსი მედიოლიონელის ცხოვრებაში იყო ასეთი შემთხვევა, რომ მოხდა დაპირისპირება იუდეველთა თემის ქრისტიანებთან. ქრისტიანები უფრო მეტნი იყვნენ რიცხვით. დაპირისპირება გადავიდა ძალადობაში და ძალადობის შედეგი იყო, რომ ქრისტიანებმა სძლიეს იუდეველთა თემს, ამ ადამიანებს და მათი სინაგოგა დაანგრიეს.

აღშფოთდა ხელისუფლება, დაიჩივლეს, აგვიშენოს ახლაო. ქალაქში ცოტანი იყვნენ, მაგრამ მსოფლიოში არ არიან ცოტანი და გავლენაც აქვთ მეფის კარზე ყოველთვის, ახლაც. ქრისტიანები არ თანხმდებოდნენ, მაშინ მმართველმა შეუთვალა მეუფე ამბროსის, უნდა გადაიხადოთო. მან უპასუხა, რომ ქრისტეს ჯვარმცმელს და ქრისტიანთა მდევნელს, სალოცავი როგორ უნდა ავუშენოთო, ნუ ისინიც მოქალაქეები არიან და აქვთ უფლება, დღევანდელი ნორმებით უფლებები აქვთ. მაშინ ამბროსი ხომ ყოფილი სამხედრო მოხელე იყო და მან შეუთვალა, კარგიო. მხოლოდ მათ ჯერ გადაიხადონ, საუკუნეების მანძილზე ამდენი ქრისტიანი აწამეს, ამდენი ქრისტიანთა სალოცავი დაანგრიეს და რამდენი და რამდენჯერ... ამ ყველაფერს რომ გადაიხდიან, იქიდან ჩვენ თანხას მივცემთ სინაგოგის აშენებისთვისო. მიხვდნენ, რომ ეს თანხა ისეთია, ვერ გადაიხდიდნენ.

უდანაშაულოთა სისხლის ფასი არის, რომ გადაიხადო? რამდენი აწამეს, მათი ცილისწამებით, ბრალდებით, დასმენით. რამდენჯერ, სანამ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდებოდა ქრისტიანობა, ძალადობდნენ ქრისტიანებზე. მაშინ ამ თემის თემის მმართველმა დაიბარა და უთხრა, პასუხი ასეთია - თქვენ იმ საუკუნეების, 2 საუკუნე მაინც გადაიხადეთ და ისინი იქიდან თქვენ გადაგიხდიანო. უარი თქვეს, ჩვენ თვითონ ავაშენებთ სინაგოგასო.

დღესაც, როდესაც ადამიანის უფლებებზე ლაპარაკობენ, უცნაურია, ეკლესიის ლანძღვის და ცილისწამების უფლება სიტყვის თავისუფლება არის. როდესაც ჩვენ გვინდა რომ გავაკრიტიკოთ ეს ქმედება, გვეუბნებიან, რომ მათ ჰქონდათ უფლება. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ ჩვენი აზრი ვთქვათ? ეს ბრძოლა გრძელდება. ეს არის ურწმუნო მოდგმის ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. თუცა, ეკლესიისგან სიკეთის მეტი არაფერი მიუღიათ“ . - ამბობს მიტროპოლიტი იოანე.

www.tabula.ge

დავით ზალკალიანი: ანტისემიტიზმი ვერასოდეს იპოვის ადგილს ქართველი ხალხის გულსა და ცნობიერებაში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი საეკლესიო ამბიონიდან წარმოთქმულ კიდევ ერთ ანტისემიტურ ქადაგებას Twitter-ზე ეხმაურება და წერს, რომ ქართველი ხალხის ცნობიერებაში ანტისემიტიზმი ადგილს ვერასდროს იპოვის.

„ხალხის ისტორია ძმობის, მეგობრობის, გვერდში დგომის ისტორიაა, ყველა ქვეყნისა თუ ერისთვის მისაბაძი. ანტისემიტიზმის უმცირესი გამოვლინებაც კი ვერასოდეს იპოვის ადგილს ქართველის გულსა და ცნობიერებაში

ხალხის მომავალი მუდამ იქნება ძმობა და ერთობა“. - წერს მინისტრი.

www.tabula.ge

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

2021 წლის 4 იანვარს გავრცელდა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმსახურის, დეკანოზ ილია კარკაძის მიმართვა საკუთარი მრევლსადმი.

ამასთან დაკავშირებით ქუთაის-გაენათის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) 8 იანვარს განცხადება გაავრცელა, სადაც ნათვამია, რომ დეკანოზ ილია კარკაძის ქადაგება „არ ეფუძნება ეკლესიის სწავლებას და გამსჭვალულია ანტისემიტური პათოსით“. იგი დაბარებული იყო მმართველ მღვდელმთავართან და ამ გამონათქვამების გამო მან „მიიღო შესაბამისი შენიშვნა და წუხს ნათქვამი სიტყვების გამო“.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ანტისემიტიზმი, ისევე როგორც შოვინიზმი, ან სხვა სახის სიძულვილის გამოვლინება ეროვნული ნიშნით, ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მუდამ აფასებდნენ, უფრთხილდებოდნენ და უფრთხილდებიან ჩვენს მეგობარ ერებთან, განსაკუთრებით - ებრაელ ხალხთან, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ძმურ ურთიერთობებს.

ლაშა ჟვანია მეუფე იოანეზე: ცილისწამებაა, ებრაელების და სხვა ერების სიყვარული მან გამიძლიერა

„ახალი ცილისწამებები საქართველოს ეკლესიის მსახურების წინააღმდეგ. ამჯერად საქართველოს ფარგლებს გავცდით და მთელი მსოფლიო გავაოცეთ, რომ თითქოს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი იოანე ანტისემიტურ განცხადებებს ავრცელებს და ებრაელ ერს შეურაცხყოფას აყენებს!!! მაშინ, როცა მეუფე იოანე საუბრობს მეოთხე საუკუნეში მომხდარ კონკრეტულ არასასიამოვნო ფაქტზე და ციტირებას უკეთებს წმინდა ამბროსი მედიოლანელის 1600 წლის წინანდელ დიალოგს მეფესთან. შემდეგ კი სახარებიდან მათ მიმართ, ვინც ეკლესიას ცილს წამებს, მოჰყავს მაცხოვრის სიტყვები „ურწმუნო მოდგმის“ ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ და დასძენს, რომ ეს ფრაზა არ შეიძლება ეთნიკური საზომით გავზომოთ და რომელიმე ერს მივუსადაგოთ, არამედ განზოგადებულია კაცობრიობის ურწმუნო მოდგმაზე. (წაიკითხონ მარკოზის სახარება).

32 წელია ვიცნობ მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა იოანეს! დღეს მადლობა მინდა ვუთხრა - ებრაელების და სხვა ერების სიყვარული და პატივისცემა ოჯახიდან თუ მომდიოდა, მეუფე იოანემ გამიძლიერა თავისი დიდი დიდსულოვნებით და კაცთმოყვარეობით. ვისაც კითხვა გაუჩნდება, ყურადღებით მოისმინოს მეუფის 20 დეკემბრის ქადაგება.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია ქართველების და ებრაელების ღვთივკურთხეული მეგობრობის წინააღმდეგ გადადგმულ, შეთხზულ ამ მტრულ ქმედებას ებრაელთა დიდი მეფის, წმინდა დავით წინასწარმეტყველის, საქართველოს ეკლესია ასე მოწიწებით, დიდი პატივისცემით რომ სასოებს და მსოფლიოში ერთადერთი მისი სახელობის ტაძარიც კი ააგო, ფსალმუნი დავუპირისპიროთ: „არა გეშინოდის შიშისაგან ღამისა და ისრისაგან, რომელი ფრინავნ დღისით; ასპიტსა და ვასილისკოსა ზედა ხვიდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი“. - წერს ლაშა ჟვანია Facebook-ზე.

მეუფე იოანემ ებრაელთა თემი „ქრისტიანთა მდევნელად“ წარმოადგინა, რომელთაც „დღესაც აქვთ გავლენა სამეფო კარზე“. ამასთან, მიტროპოლიტმა იოანემ ისინი „ურწმუნო მოდგმადაც“ მოიხსენია.

მის ქადაგებას ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) გამოეხმაურა. (TDI) გმობს საეკლესიო ანტისემიტიზმს და აცხადებს, რომ იოანე გამრეკელის ქადაგება უკიდურესად შემაშფოთებელია.

www.tabula.ge

მიტროპოლიტის ქადაგებას თეოლოგი ბასილ კობახიძე გამოეხმაურა:

„ანტისემიტურად იქადაგა ბაგრატის ტაძარში ქუთათელმა მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა. ის ამბობს, რომ ებრაელები ურწმუნო მოდგმაა და ყოველთვის ებრძოდნენ და დევნიდნენ ეკლესიას. ებრაელები ბევრნი არიან მთელს მსოფლიოში, გავლენა ჰქონდათ და ახლაც აქვთ ხელისუფლებებზე. ებრაელების, როგორც ურწმუნო მოდგმის ანტიქრისტიანულ საქმეს დღეს აგრძელებენ ადამიანის უფლებადამცველები, რომლებიც აკრიტიკებენ საპატრიარქოს და იცავენ უმცირესობების უფლებებს. შტანდარტენფიურერ მეუფე იოანეს თავისი ანტისემიტიზმის გასამყარებლად სრულიად გაუკულმართებულად მოჰყავს ერთი ამბავი წმ. ამბროსი მედიოლანელის ცხოვრებიდან. გელათის მეცნიერებათა აკადემიას, საპატრიარქოს განათლების ცენტრს და ქუთაისის ეპარქიას ხელმძღვანელობს თავცარიელი ბნელი ფაშისტი იოანე გამრეკელი. მე მას შევახსენებ, რომ ქრისტე კაცობრივად, ღვთისმშობელი, რომელსაც საქართველოს წილხვედრობას აიძულებენ ჩვენი ეკლესია და მთავრობა, მოციქულები, ებრაელები იყვნენ“. - წერს კობახიძე.

ისრაელის სახლის მიმართვა ქუთათელ-გაენათის, მიტროპოლიტ იოანეს 2020წლის 20 დეკემბრის ქადაგებაზე

საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს,
საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი გახარიას,
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ არჩილ თალაკვაძეს.

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელმა, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ საჯარო სიტყვით გამოსვლისას, ძველი ეპოქის (IV ს.) ერთ-ერთი სასულიერო პირის - არქიეპისკოპოს ამბროსის სიტყვების მოშველიებით, ებრაელთა თემი „ქრისტეს ჯვარმცმელად“, „ქრისტიანთა მდევნელად“, „მწამებლებად“ და „ცილისმწამებლებად“ მოიხსენია. მიტროპოლიტი ებრაელთა დევნასა და სინაგოგათა ნგრევას, აღნიშნული არქიეპისკოპოსის სიტყვით, ებრაელთა „დანაშაულებს“ მიაწერს და თავის მხრივ დასძენს: „უდანაშაულოთა სისხლის ფასი არის, რომ გადაიხადო? რამდენი აწამეს, მათი ცილისწამებით, ბრალდებით, დასმენით. რამდენჯერ, სანამ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდებოდა ქრისტიანობა, ძალადობდნენ ქრისტიანებზე“ (იხ. ბმული დანართში).

ეკლესიის მაღალი რანგის წარმომადგენლის ასეთი განცხადებები ერთმნიშვნელოვნად მიგვაჩნია ანტისემიტიზმის გამოვლინებად, შუღლის გაღვივებისა და ზოგიერთი რადიკალური ჯგუფის წახალისების მცდელობად, რაც საქართველოსთვის, როგორც ისტორიულად ტოლერანტული ქვეყნისთვის, არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი.

ამასთან, მიტროპოლიტ იოანეს გამონათქვამები, შესაძლოა, ეთნიკური თუ რელიგიური შეუწყნარებლობისთვის იმპულსი მიმცემი გახდეს.

მაშინ, როდესაც ექსტრემიზმისკენ მიდრეკილ პირებს შეუძლიათ ჩაშლა სცადონ ქვეყნის პირველი პირის მონაწილეობით მშვიდობის, სინათლის დღესასწაულის - ხანუქას სანთლის ანთების ცერემონია; რადიკალურ ჯგუფებს შეუძლიათ უდანაშაულო ახალგაზრდის მოკვლა სავარაუდოდ, იმის გამო, რომ არის ებრაელი (იხ. ვიტალი საფაროვის გახმაურებული საქმე); უდავოა, საშიშ სიგნალად უნდა მივიღოთ ნებისმიერ ისეთი „ისტორიული პარალელისა“ თუ ღია სიძულვილის ენის გამოყენება, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ის, რომელსაც შეუძლია, ზიანი მიაყენოს ერების ურთიერთობას, სოციალურ მშვიდობას, თანასწორობას და რელიგიურ თანაცხოვრებას.

ნიშანდობლივია, რომ მიტროპოლიტ იოანეს მიერ ისტორიული წარსულიდან მოყვანილი მაგალითი დანგრეული სინაგოგის, როგორც „უბედურების ტაძრის“ აღდგენის მიუღებლობაზე მოგვითხრობს. ავტორიტეტული და გავლენიანი ინსტიტუციის წარმომადგენლის მიერ ასეთი მაგალითების ტირაჟირება პირდაპირ ეწინააღმდეგება ქართული საზოგადოების შემწყნარებლურ ბუნებას და იმ ტენდენციას, რაც წლებია ქვეყანაში გამოიკვეთა - სახელმწიფოსა და მეცენატების მხარდაჭერით მოხდა არაერთი სინაგოგის რესტავრაცია-რეაბილიტაცია.

კიდევ უფრო შემაშფოთებლად მიგვაჩნია ისრაელში საქართველოს ელჩის, ლაშა ჟვანიას გამოხმაურება მიტროპოლიტ იოანეს განცხადებაზე. თავის ოფიციალურ ფეისფუქგვერდზე განთავსებულ განცხადებაში ის გვერდს უვლის მიტროპოლიტის ანტისემიტურ გამონათქვამებს და ცდილობს მას პასუხისმგებლობა ააცილოს გაუგებარი „განმარტებებით“.

ქალბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ,

ახლა ყველაზე ცუდი პრობლემის წაყრუება იქნება და ეს შეუძლია გააკეთოს მან, ვისაც არ ადარდებს ხალხთა შორის ურთიერთობები თუ ქვეყნის იმიჯი. ამიტომ „ისრაელის სახლი“ მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, შესაბამისი ინსტიტუციების ჩართულობით, მოხდეს ზემოაღნიშნულ პირთა განცხადებებზე დროული და ადეკვატური რეაგირება.

ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ საქართველოს ხელისუფლების თანადგომას. მეტიც, მისი პოზიცია ურყევია ისეთი სენის მიმართ, როგორიცაა ეთნიკური თუ რელიგიური შუღლის გაღვივება.

ჩვენი მხრიდან კი, როგორც მესამე სექტორის წარმომადგენლები, აქტიურად ვმუშაობთ საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმართულებით, საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალ თაობაში, ანტისემიტიზმსა და იუდოფობიაზე ცნობიერების ამაღლებაზე.

“ისრაელის სახლის“ მხარდაჭერით საქართველოში ხორციელდება უპრეცედენტო პროექტი - რამდენიმე უნივერსიტეტში ისწავლება ჰოლოკოსტის ისტორია, გაიხსნა ისრაელის კაბინეტები. წელს ონში გავხსენით ჰოლოკოსტის მემორიალი ქართველი შინდლერის - სერგი მეტრეველის სახელის უკვდავსაყოფად, რაც საქართველოს ტოლერანტობის კიდევ ერთი სავიზიტო ბარათი გახდება მსოფლიოში; თბილისის საკრებულოსთან თანამშრომლობით, ვაპირებთ დედაქალაქში ქართველი შინდლერების პარკის გახსნასაც.

გვჯერა, მხოლოდ ერთობლივი მუშაობით შევძლებთ, დავძლიოთ ისეთი გლობალური პრობლემა, როგორიცაა ანტისემიტიზმი/იუდოფობია.

“ისრაელის სახლი“
https://www.facebook.com/itsikmoshe

TDI: ვგმობთ საეკლესიო ანტისემიტიზმს, იოანე გამრეკელის ქადაგება უკიდურესად შემაშფოთებელია

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის ხელმძღვანელის, იოანე გამრეკელის ანტისემიტური ქადაგება უკიდურესად შემაშფოთებელია. TDI აღნიშნავს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს აქამდე საჯაროდ არ დაუგმია საეკლესიო ანტისემიტიზმის გამოვლენის ფაქტი.

TDI მიმართავს საქართველოს საპატრიარქოს, საჯაროდ კრიტიკულად შეაფასოს და დაგმოს მიტროპოლიტის ანტისემიტური ქადაგება. ასევე საქართველოს ხელისუფლებას:

- ზოგადი განათლების სისტემაში დანერგოს ანტისემიტიზმისა და ჰოლოკოსტის შესახებ სწავლება, რაც ხელს შეუწყობს ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას;
- გაავრცელოს ტოლერანტობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის, დისკრიმინაციის აკრძალვის მხარდამჭერი განცხადებები და მკაცრად შეაფასოს ანტისემიტიზმი და სიძულვილის ენის გამოყენება.

გთავაზობთ ორგანიზაციის განცხადებას:

„20 დეკემბერს, მიტროპოლიტმა იოანემ, ლიტურგიისას ებრაელი ერი დამამცირებელ, ანტისემიტურ კონტექსტში რამდენჯერმე მოიხსენია. მან ებრაელებს უწოდა „ქრისტიანთა მდევნელი“ და „ურწმუნო მოდგმა“. ამგვარი სიტყვებით მოხსენიება ებრაელი ხალხის დემონიზაციაა და იმეორებს საშიშ სტერეოტიპს, რომლის თანახმად ქრისტეს მკვლელობისთვის მთელ ერს კოლექტიური პასუხისმგებლობა ეკისრება.

მიტროპოლიტმა იქადაგა ამბროსი მედიოლანელის ცხოვრების შესახებ და მოყვა რამდენიმე ეპიზოდი. მიტროპოლიტის ქადაგება ისტორიული თვალსაზრისით, ბევრ უზუსტობას შეიცავს, მაგრამ ამ შემთხვევაში, TDI-ს მიზანი ისტორიული სიმართლის დადგენა არ არის. მიტროპოლიტმა აღნიშნა: ქრისტიანებმა სძლიეს ებრაულ თემს და სინაგოგა დაუნგრიეს. როდესაც იუდაურმა თემმა სინაგოგის აშენების თხოვნით მიმართა მმართველს, მათ მეფემ შეუთვალა, ჯერ გადაიხადონ, რაც „საუკუნეების მანძილზე ამდენი ქრისტიანი აწამესო“. ებრაელებმა საბოლოოდ უარი თქვეს, ჩვენ თვითონ ავაშენებთ სინაგოგასო. მან ასევე დასძინა, რომ ებრაელები შეიძლება „ქალაქში ცოტანი იყვნენ, მაგრამ მსოფლიოში არ არიან ცოტანი, და გავლენაც აქვთ მეფის კარზე ყოველთვის, ახლაც.“

იოანე გამრეკელმა ქადაგებისას აღნიშნა, რომ „ბრძოლა დღესაც გრძელდება, ეს ეთნიკური ნიშნით არ განისაზღვრება, ეს არის ურწმუნო მოდგმის ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ.“ მან პარალელი გაავლო ებრაელებს, „ურწმუნო მოდგმასა“ და უფლებადამცველებს შორის, რომლებიც დღეს ეკლესიას აკრიტიკებენ და შესაბამისად, ამით იუდაური თემის გზას აგრძელებენ. შემაშფოთებელია ამ კონტექსტში უფლებადამცველების „ეკლესიასთან მებრძოლებად“ მოხსენიებაც.

ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო ალიანსის (IHRA) განმარტებით, ანტისემიტიზმი არის ებრაელთა იმგვარი აღქმა, რომელიც შესაძლოა მათ მიმართ სიძულვილში გამოიხატოს. ანტისემიტიზმის ვერბალური და ფიზიკური გამოვლინებები მიემართება ებრაელებს, მათ ქონებას, ებრაულ ორგანიზაციებსა და რელიგიურ დაწესებულებებს. ანტისემიტიზმი მოიცავს შეთქმულების თეორიებს ებრაელების შესახებ და ადანაშაულებს ებრაელებს, როდესაც მსოფლიოში რაიმე უარყოფითი მოვლენა ხდება.

ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დეკლარაციაში (2018) აღნიშნულია, რომ ანტისემიტიზმი, განურჩევლად იმისა, თუ რომელი ექსტრემისტული, პოლიტიკური თუ რელიგიური ჯგუფი დგას მის უკან, საფრთხეს უქმნის ებრაელი ხალხის უსაფრთხოებას, კეთილდღეობას და შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი იდენტობა.

უკიდურესად სახიფათოა გავრცელებული სტერეოტიპი, რომ თითქოს ებრაელები ქრისტეს და ქრისტიანებს დევნიან. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებში გაეროს საგანგებო მომხსენებელი აჰმედ შაჰიდი 2019 წლის ანგარიშში რელიგიური შეუწყნარებლობის ყველა ფორმის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ ანტისემიტურ ნარატივებში ებრაელებს კოლექტიურ დანაშაულს მიაწერენ იესო ქრისტეს მკვლელობისთვის, მოიხსენიებენ იუდასა და სატანის შთამომავლებად; ხშირად ახასიათებენ, როგორც „მზაკვარ, განსაკუთრებული გავლენისა და კონტროლის მქონე ადამიანებად“. ამგვარი სტერეოტიპული წარმოდგენები საუკუნეების განმავლობაში ვრცელდებოდა რელიგიურ სწავლებებში, ქადაგებებსა და ხელოვნებაში - აღნიშნავს გაეროს სპეციალური მომხსენებელი.

ანტისემიტიზმის შედეგებმა მსოფლიოზე უმძიმესი კვალი დატოვა. ბევრი უარყოფითი სტერეოტიპი სათავეს იღებს მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთში გამოქვეყნებული ყალბი პროპაგანდისტული ბროშურიდან „სიონის უხუცესთა პროტოკოლები“, რომელიც ძველი წყაროების პლაგიატის საფუძველზე ქმნიდა შეთქმულების თეორიას ებრაელთა მიერ მსოფლიოს კონტროლისა და დომინაციის შესახებ. ებრაელების შესახებ სტერეოტიპების საფუძველზე დაშენდა ინსტიტუციონალიზებული ანტისემიტიზმი, რომელიც თანამედროვე კონტექსტშიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება.

საქართველოში მართლმადიდებელი მაღალი იერარქიის წარმომადგენელი სასულიერო პირების მხრიდან იუდაური რელიგიისადმი შეუწყნარებლობის გამოვლენა იმ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის უგულებელყოფაცაა, რომელიც ებრაელებსა და ქართველებს ერთმანეთთან აკავშირებს.

მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის აღნიშნული ქადაგება არ არის მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან ანტისემიტიზმის საჯარო გამოვლენის პირველი ფაქტი. მაგალითად, 2013 წლის 4 დეკემბერს, თავისუფლების მოედანზე, ხანუქას დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მართლმადიდებელი სასულიერო პირები მონაწილეობდნენ რელიგიური შუღლის გაღვივებისა და ანტისემიტიზმის გამოვლენაში. სადღესასწაულო შეკრებისას, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი და ისრაელის ელჩი ესწრებოდნენ, დეკანოზი დავით ისაკაძე შეურაცხყოფდა ებრაელ ხალხს, იუდაურ რელიგიას და აცხადებდა, რომ ხანუქას აღნიშვნა მათთვის, როგორც ქართველი მართლმადიდებლებისთვის, მიუღებელია. საპატრიარქოს მართლმადიდებელი მღვდლების ანტისემიტური მოწოდებები არც მაშინ დაუგმია და მან კომენტარისგან თავი შეიკავა.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სკოლის ასაკიდან ისწავლება ანტისემიტიზმისა და ჰოლოკოსტის მძიმე შედეგები და ხდება ამ მოვლენების გააზრება. ჰოლოკოსტი წარმოადგენს საბაზისო მორალური პრინციპების, ღირებულებების შესახებ დისკუსიისთვის კარგ მაგალითს; ამ თემების ღრმად შესწავლა, მათზე მსჯელობა არის მსგავსი ფენომენის განმეორების ყველაზე ეფექტური პრევენცია.

სამწუხაროდ, ანტისემიტიზმის, ჰოლოკოსტისა და მისი შედეგების გააზრება არც საქართველოს ხელისუფლებისთვისაა პრიორიტეტული. ამის დასტურია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ყოველწლიური ანგარიში, რომელიც წევრი სახელმწიფოების მიერ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისა და ანტისემიტიზმის შედეგების სწავლებასთან დაკავშირებით სახელმწიფოების მიერ გატარებულ ღონისძიებებს აღწერს. ანგარიში სახელმწიფოების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეფუძნება. მათში არაფერია ნათქვამი საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებზე“. - ნათქვამია TDI-ის განცხადებაში.

www.tabula.ge

ლენინი ვინ იყო? ტროცკი? ვის ხელშია ბანკური სისტემა? – მამა ილიას ანტისემიტური განცხადება

ქუთაისის სულხან-საბას დასახლების სამების ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ილია კარკაძე ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის მსგავსად, ანტისემიტურ განცხადებებს აკეთებს.

დეკანოზი ილია გამოეხმაურა მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის ქადაგებას, რომლის გამოც ის არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს. მღვდელი ამბობს, რომ არის სიონისტური დაჯგუფებები, რომლებიც „მიწიური პროცესიდან არაკეთილი ძალის მხარეს დგას“, თუმცა, ასევე არიან მოსეს რჯულის ებრაელებიც, რომლებიც მათ „არ ერწყმიან“.

დეკანოზი მიიჩნევს, რომ მიტროპოლიტი ფაქტებს ამბობდა და ამის გამო მას ანტისემიტიზმი დასწამეს.

“მაგალითად, მე რომ წავიკითხო აბელის წინასწარმეტყველება. აბელს უწერია, ურიები დაგესლავენო რუსეთსო და ფაქტია, რომ ეს ასეა, კაცო. ამიტომ არის, რომ მსოფლიო პროცესს თუ გადახედავთ... როგორც წერია, ანტიქრისტე რომ მოდის, ეშმაკი, ის ქრისტეს მტერია, ქრისტეს ებრძვის და ამიტომ გებრძვის შენ.

ბევრ წყაროებში ვხედავთ ჩვენ, მაგალითად, ლენინი ვინ იყო? ტროცკი ვინ იყო? ზინოვიევი ვინ იყო? სვედლოვი ვინ იყო? გადახედეთ, ასეთი დოკუმენტური ფილმია სტალინზე „მესიის მახვილი“. 28 დაჯგუფება იყო და 28 დაჯგუფებაშივე მთლიანად ებრაელები იყვნენ, რომლებმაც რევოლუცია მოაწყვეს“. – ამბობს დეკანოზი ქადაგებაში.

მღვდელი მრევლს მოუწოდებს, გადახედოს, ვის ხელშია დღეს „მთელი ბანკური სისტემა“ და იხსენებს, რომ ადრე, საბჭოთა კავშირის დროს, მთელი „ბანკური სისტემა“ ერთი მეთაურის ხელში იყო.

“ეს ძალიან კარგი არის, როგორ უნდოდათ [სავარაუდოდ, ხელში ჩაგდება. გარკვევით არ ისმის]... სტალინის ხელში ვერ მოახერხეს, იმხელა გენია იყო ამ საქმეში და მერე და მერე დაიპყრეს რუსეთიც. დღეს საქართველოც დაპყრობილია. რუსეთიც დაპყრობილია. ოფშორული ფული გაიგეთ, რა არის.

თუ ადრე დაგიპყრობდა სახელმწიფო და კოლონია იყავი მისი, ტაქტიკა შეიცვალა ახლა. ამის სათავეებში ვინ არის, გადახედეთ. ის ძალები, რომლებიც აფინანსებენ, ამაზეა საუბარი და ჩვენ თუ გამოვედით და ვუთხარით ვინმეს...

ამგენის ხელშია დღეს ფინანსური ბერკეტები. ჩვენ როცა ვსაუბრობთ გინდა ქართველებზე, გინდა სხვა მოძმე და განსაკუთრებით ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს ებრაელებთან, მაგრამ ისიც უნდა შევახსენოთ, რომ ცოტა შენ გიჭირდა და ჩვენ ჩაგიხუტეთ, შენ უნდა გესმოდეს, რომ არ უნდა გააკეთო ასე, სულხან-საბას იგავივით, კუ და მორიელივით“. – თქვა დეკანოზმა.

მეუფე იოანემ ებრაელთა თემი „ქრისტიანთა მდევნელად“ წარმოადგინა, რომელთაც „დღესაც აქვთ გავლენა სამეფო კარზე“. ამასთან, მიტროპოლიტმა იოანემ ისინი „ურწმუნო მოდგმადაც“ მოიხსენია. ქადაგების საპასუხოდ ბასილ კობახიძემ დაწერა, რომ „თავისი ანტისემიტიზმის გასამყარებლად სრულიად გაუკუღმართებულად მოჰყავს ერთი ამბავი წმ. ამბროსი მედიოლანელის ცხოვრებიდან.“

ბექა მინდიაშვილის შეფასებით კი, „ქრისტეს ჯვარცმაში ებრაელი ერის დადანაშაულება, ებრაელთა „ურწმუნო მოდგმად“ შერაცხვა არის ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მორალური, თეოლოგიური და იურიდიული დანაშაული, ეკლესიების სამარცხვინო პოზიცია იყო ინსტიტუციონალური ანტისემიტიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საფუძველი.“

მეუფე იოანეს ქადაგებას ქადაგებას ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტიც გამოეხმაურა. TDI გმობს საეკლესიო ანტისემიტიზმს და აცხადებს, რომ იოანე გამრეკელის ქადაგება უკიდურესად შემაშფოთებელია.

ისრაელში საქართველოს ელჩმა, ლაშა ჟვანიამ კი დაწერა, რომ მეუფე იოანეს კრიტიკა ცილისწამებაა, ებრაელების და სხვა ერების სიყვარული კი მას მეუფე იოანემ გაუძლიერა.

გუშინ, 4 იანვარს მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის ანტისემიტიზმის მონიტორინგის სამსახურმა გამოაქვეყნა მასალა, რომელშიც, TDI-ზე დაყრდნობით, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ანტისემიტიზმზეა საუბარი.

www.tabula.ge

მეუფე იოანე მისივე ეპარქიის მღვდლის ქადაგებაზე: გამსჭვალულია ანტისემიტური პათოსით

ქუთაის-გაენათელი მიტროპოლიტი იოანე, მისივე დაქვემდებარებაში მყოფი მღვდლის, ილია კარკაძის ქადაგებას ეხმაურება და მას „ანტისემიტური პათოსისას“ უწოდებს.

“ქუთაის-გაენათის ეპარქიის დეკანოზის ილია კარკაძის ბოლო დროს თქმული ქადაგება სრულად წარმოადგენს უსაფუძვლო ბრალდებებს ებრაელი ერის ან ცალკეული წარმომადგენლების მიმართ. არ ეფუძნება ეკლესიის სწავლებას და გამსჭვალულია ანტისემიტური პათოსით. ამასთან, ქართველებისა და ებრაელების ურთიერთთანადგომით სავსე კეთილმეგობრული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა საფუძვლის გარეშე კუსა და მორიელის იგავს არის შედარებული. ამგვარი შედარება შეუსაბამოა, გულსატკენი და დასაგმობი. მან მიიღო შესაბამისი შენიშვნა და წუხს ნათქვამი სიტყვების გამო.

აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნით ადრე ჩემ წინააღმდეგ ანტისემიტიზმის ბრალდებით აგორებული კამპანია სწორად და ობიექტურად შეაფასა ისრაელის ელჩმა ბატონმა რან გიდორმა და მაგალითი მოგვცა ტოლერანტობისა. ამგვარი ფაქიზი დამოკიდებულიბით ჩვენ არა მარტო წარსული კეთილი ურთიერთობის ხსოვნას შევინარჩუნებთ, არამედ მომავალშიც გავაგრძელებთ მას“. - წერია მიტროპოლიტ იოანეს განცხადებაში.

ქუთაისის სულხან-საბას დასახლების სამების ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა ილია კარკაძემ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის მსგავსად, ანტისემიტურად შეფასებული ქადაგება წარმოთქვა.

ქადაგებაში დეკანოზი ილია გამოეხმაურა მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის ქადაგებას, რომლის გამოც ის არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს. მღვდელი ამბობს, რომ არის სიონისტური დაჯგუფებები, რომლებიც „მიწიური პროცესიდან არაკეთილი ძალის მხარეს დგას“, თუმცა, ასევე არიან მოსეს რჯულის ებრაელებიც, რომლებიც მათ „არ ერწყმიან“.

დეკანოზი მიიჩნევს, რომ მიტროპოლიტი ფაქტებს ამბობდა და ამის გამო მას ანტისემიტიზმი დასწამეს.

“მაგალითად, მე რომ წავიკითხო აბელის წინასწარმეტყველება. აბელს უწერია, ურიები დაგესლავენო რუსეთსო და ფაქტია, რომ ეს ასეა, კაცო. ამიტომ არის, რომ მსოფლიო პროცესს თუ გადახედავთ... როგორც წერია, ანტიქრისტე რომ მოდის, ეშმაკი, ის ქრისტეს მტერია, ქრისტეს ებრძვის და ამიტომ გებრძვის შენ.

ბევრ წყაროებში ვხედავთ ჩვენ, მაგალითად, ლენინი ვინ იყო? ტროცკი ვინ იყო? ზინოვიევი ვინ იყო? სვედლოვი ვინ იყო? გადახედეთ, ასეთი დოკუმენტური ფილმია სტალინზე „მესიის მახვილი“. 28 დაჯგუფება იყო და 28 დაჯგუფებაშივე მთლიანად ებრაელები იყვნენ, რომლებმაც რევოლუცია მოაწყვეს“. – ამბობს დეკანოზი ქადაგებაში.

მღვდელი მრევლს მოუწოდებს, გადახედოს, ვის ხელშია დღეს „მთელი ბანკური სისტემა“ და იხსენებს, რომ ადრე, საბჭოთა კავშირის დროს, მთელი „ბანკური სისტემა“ ერთი მეთაურისხელში იყო.

“ეს ძალიან კარგი არის, როგორ უნდოდათ [სავარაუდოდ, ხელში ჩაგდება. გარკვევით არ ისმის]... სტალინის ხელში ვერ მოახერხეს, იმხელა გენია იყო ამ საქმეში და მერე და მერე დაიპყრეს რუსეთიც. დღეს საქართველოც დაპყრობილია. რუსეთიც დაპყრობილია. ოფშორული ფული, გაიგეთ, რა არის.

თუ ადრე დაგიპყრობდა სახელმწიფო და კოლონია იყავი მისი, ტაქტიკა შეიცვალა ახლა. ამის სათავეებში ვინ არის, გადახედეთ. ის ძალები, რომლებიც აფინანსებენ, ამაზეა საუბარი და ჩვენ თუ გამოვედით და ვუთხარით ვინმეს...

ამგენის ხელშია დღეს ფინანსური ბერკეტები. ჩვენ როცა ვსაუბრობთ გინდა ქართველებზე, გინდა სხვა მოძმე და განსაკუთრებით ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს ებრაელებთან, მაგრამ ისიც უნდა შევახსენოთ, რომ ცოტა შენ გიჭირდა და ჩვენ ჩაგიხუტეთ, შენ უნდა გესმოდეს, რომ არ უნდა გააკეთო ასე, სულხან-საბას იგავივით, კუ და მორიელივით“. – თქვა დეკანოზმა.

მეუფე იოანემ ებრაელთა თემი „ქრისტიანთა მდევნელად“ წარმოადგინა, რომელთაც „დღესაც აქვთ გავლენა სამეფო კარზე“. ამასთან, მიტროპოლიტმა იოანემ ისინი „ურწმუნო მოდგმადაც“ მოიხსენია. ქადაგების საპასუხოდ ბასილ კობახიძემ დაწერა, რომ „თავისი ანტისემიტიზმის გასამყარებლად სრულიად გაუკუღმართებულად მოჰყავს ერთი ამბავი წმ. ამბროსი მედიოლანელის ცხოვრებიდან.“

ბექა მინდიაშვილის შეფასებით კი, „ქრისტეს ჯვარცმაში ებრაელი ერის დადანაშაულება, ებრაელთა „ურწმუნო მოდგმად“ შერაცხვა არის ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მორალური, თეოლოგიური და იურიდიული დანაშაული, ეკლესიების სამარცხვინო პოზიცია იყო ინსტიტუციონალური ანტისემიტიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საფუძველი.“

www.tabula.ge

საქართველოს სახალხო დამცველის და მასთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის განცხადება ანტისემიტური გამონათქვამების შესახებ

11 იანვარი, 2021

სახალხო დამცველი ეხმაურება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქუთაისისა და გაენათის ეპარქიის მღვდელმთავრის მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის და ასევე, ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმსახურის დეკანოზ ილია კარკაძის ქადაგების გარშემო განვითარებულ მოვლენებს, რაც შესაძლოა, ქვეყანაში ანტისემიტიზმის გაძლიერების საფრთხეს ქმნიდეს.

საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნულს თავდაპირველად მხოლოდ ისრაელში საქართველოს ელჩი ლაშა ჟვანია გამოეხმაურა, რომელმაც ქადაგების მწვავედ შეფასების ნაცვლად, მიტროპოლიტ გამრეკელის მიმართ გავრცელებულ კრიტიკას ცილისწამება უწოდა. მოგვიანებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ ანტისემიტიზმის უმცირესი გამოვლინებაც კი ვერასოდეს იპოვის ადგილს ქართველის გულსა და ცნობიერებაში.

სახალხო დამცველის განცხადებით, ქვეყანაში ანტისემიტური მოსაზრებების გავრცელება საფრთხეს უქმნის ეთნიკურად ებრაელი ხალხის თანასწორუფლებიანობას და ამასთან, წარმოაჩენს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საზარელი დანაშაული - ჰოლოკოსტი და მისი გამომწვევი წინაპირობები სათანადოდ არ არის გააზრებული. ანტისემიტიზმის ნებისმიერი გამოვლინება საფრთხის შემცველია როგორც თითოეული მოქალაქისთვის, ასევე მთლიანად საზოგადოებისთვის.

აუცილებელია, რომ ბოლო დღეებში გავრცელებული ანტისემიტური რიტორიკა არ დარჩეს მხოლოდ ცალკეული პიროვნებების განხილვის საგნად და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ყოველი საჭიროების შემთხვევაში, ანტისემიტური განწყობების განვითარების თავიდან აცილების მიზნით, საჯარო და მკაფიო განცხადებებით, დაუყოვნებლივ დაგმონ ნებისმიერი სახის ანტისემიტური დამოკიდებულება და გამოხატონ მხარდაჭერა ებრაელი ერის მიმართ, რაც, მათ შორის, ანტისემიტიზმის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ 27 იანვარს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსენების საერთაშორისო დღეა, რომელსაც, საქართველოს სახალხო დამცველი ყოველწლიურად აღნიშნავს 2013 წლიდან.

www.ombudsman.ge

საქართველოში ისრაელის ელჩის, რან გიდორის განცხადება (4 იანვარს ილია კარკაძის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე):

ზუსტად ერთი კვირის წინ გამოვხატე ჩემი სურვილი და იმედი, რომ ახალ წელს შევხვდებოდით კიდევ უფრო მტკიცე რწმენით, რომ ქართველებსა და ებრაელებს შორის მეგობრობა ისეთივე მტკიცეა, როგორც ყოველთვის და რომ ანტისემიტიზმს, რასიზმსა და ფანატიზმს ქართულ საზოგადოებაში ადგილი არა აქვს.

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ორშაბათს, 4 იანვარს, ქუთაისის სულხან-საბას დასახლების სამების ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა ილია კარკაძემ გადმოანთხია ანტისემიტური შეთქმულების რამდენიმე თეორია, რომელთა ნაწილიც ევროპაში, 1930 წლებში გავრცელებულ ყველაზე სისხლიან ბრალდებებსა და ანტი-ებრაული სიძულვილის პროპაგანდას მოგვაგონებს.

როდესაც კარკაძემ ზემოაღნიშნული ანტისემიტური განცხადებები გააკეთა, ორი კვირაც კი არ იყო გასული ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტის და წმინდა სინოდის წევრის, მეუფე იოანე გამრეკელის მიერ ჩატარებული ძალზედ სადავო და პრობლემური ქადაგებიდან, რომლის ნაწილიც შესაძლოა აღქმული იქნეს, როგორც ანტისემიტური,.

მე ამ არაჩვეულებრივ ქვეყანაში უკვე საკმარისად დიდი ხანი ვიმყოფები იმის გასაცნობიერებლად, რომ ქართველების უდიდესი ნაწილი არ იზიარებს ასეთ შემზარავ შეხედულებებს. ქართველებს დამსახურებლად აქვთ მოპოვებული სტუმართმოყვარე ადამიანების სახელი მთელ მსოფლიოში. სწორედ ამიტომ ცხოვრობს საქართველოში წარმატებული ებრაული საზოგადოება 2 ათასწლეულზე დიდხანს და, სწორედ ამიტომ, აქ ყველაზე ნაკლებად შეეხო მას ანტისემიტიზმი, ვიდრე სხვა ქვეყნების უმეტესობაში.

30 წლის წინ, მას შემდეგ რაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა, ისრაელი - ებრაული სახელმწიფო - ისწრაფის, რომ სათანადოდ დაუბრუნოს მას ეს სიკეთე და გამოხატავს მადლიერებას, მათ შორის ინვესტიციების განხორციელებით ადგილობრივ ეკონომიკაში, 1500-ზე მეტი ქართველის გადამზადებით ისეთ სფეროებში როგორიც არის მედიცინა, სოფლის მეურნეობა, განათლება და მაღალი ტექნოლოგიები, ჰუმანიტარული პროექტების განხორციელებითა და კოვიდ 19-ის პანდემიასთან ბრძოლაში დახმარების გაწევით.

2019 წელს საქართველოს ისრაელიდან ტურისტების რეკორდული რაოდენობა, 200,000 სტუმარი ეწვია. ეს არის ტურისტების ყველაზე დიდი ჯგუფი იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც მას უშუალოდ არ ესაზღვრება. ეს ადამიანები ჩამოვიდნენ აქ იმ იმედით, რომ მათ კვლავ კეთილი განწყობით ელიან და რომ იყო ებრაელი საქართველოში ყოველთვის იქნება საამაყო და არა სასირცხვილო.

მიმდინარე თვეში, 27 იანვარს, აღინიშნება ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე. როგორც ისრაელის სახელმწიფოს ელჩი და შვილი 91 წლის მამის, რომელმაც ჰოლოკოსტი გამოიარა, მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას, რომ მკაფიოდ და ძლიერად გაისმას მისი ხმა და დაგმოს სიძულვილით სავსე ანტისემიტური გამოსვლები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მოხარული ვარ, რომ მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ის მკაცრად გმობს ილია კარკაძის მიერ წარმოთქმულ სიტყვას და, ასევე, განმარტა მის მიერვე მანამდე გაკეთებული განცხადება, იმედს ვიტოვებ, რომ მისი უწმინდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე, რომელიც ყოველთვის ღიად საუბრობდა თავის გულწრფელ მეგობრობაზე ებრაელ ხალხთან, თავადაც კიდევ ერთხელ გაიმეორებს ტოლერანტობისკენ მოწოდების ეგზომ საჭირო გზავნილს და დაგმობს ნებისმიერი სახის ანტისემიტიზმს, რასიზმსა და ფანატიზმს.

როგორც ისტორიამ არაერთხელ გვაჩვენა: „ერთადერთი რამ, რაც აუცილებელია ბოროტების ტრიუმფისთვის, არის ის, რომ კარგმა ადამიანებმა არაფერი აკეთონ“.

მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლება მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა შეაჩეროს ანტისემიტიზმის აღმოცენება ამ ქვეყანაში.

რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!

პასუხი ვ. კობახიძეს, ბ. მინდიაშვილს და ე. წ. სხვა „თეოლოგებს“

დღიდან ჩემი დანიშვნისა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად, რამდენიმე სატელევიზიო არხმა ან ცალკეულმა პიროვნებებმა მრავალგზის სცადეს ჩემი დისკრედიტაცია. უცნაურია ის, რომ არაკომპეტენტური ადამიანები ერევიან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და წმინდა სინოდის კომპეტენციის საკითხებში. თავიდან ცილს მწამებდნენ პრორუსულ პოლიტიკურ ორიენტაციაში. ერთხელ კომიკური სიტუაციაც კი შეიქმნა: ახალბედა ჟურნალისტმა მიღებული ინსტრუქციის თანახმად, მკითხა, კაბინეტში რატომ მაქვს რუსეთის სახელმწიფო დროშა. პასუხად მრევლის გულიანი სიცილი რომ მიიღო, თავი უხერხულად იგრძნო. რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის ქართველი ერის მიმართ არაკორექტული რეპლიკის გამო ჩემი კრიტიკული საპასუხო წერილის ერთ-ერთ რუსულ საინფორმაციო არხზე გამოქვეყნების შემდეგ ჩემზე შემოტევის მიმართულებები ოდნავ შეიცვალა. 2020 წლის გაზაფხულზე ვირუსის გავრცელების გამო გაჩენილი პანიკური შიშისგან განთავისუფლების მიზნით მრევლის მიმართ ჩემი გამამხნევებელი სიტყვა ერთ-ერთმა „კრიტიკოსმა“ ისე შეაფასა, რომ კაცისმკვლელი მიწოდა. პანდემიამ მაშინ იოლად გადაიარა. „ეკლესიის კლასტერი“ არ გაჩენილა და თემამ დაკარგა აქტუალობა. ამის შემდეგ დაიწყო სერია კითხვებისა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩემს კომპეტენციას სცილდება. ჩემმა შესაბამისმა პასუხებმა ვერ დააკმაყოფილა მათი ინტერესები.

ამჟამად ახალ შემოტევას აქვს ადგილი, რასაც შეიძლება პოლიტიკური ტერმინი - „ორკესტრირებული თავდასხმა“ ვუწოდო. ჯერ ფლეიტის ხმა გაისმა, მას ბანი კონტრაბასმა მისცა, ბოლოს როიალის მრავალფეროვნება ჩაერთო და ლაიტმოტივი გადაამღერეს პატარა „სკრიპკებმა“; დირიჟორი რატომღაც არ ჩანს. თავდასხმას „ნიურნბერგის პროცესის“ ტოლფასი შეფასება მიეცა. ამჯერად ანტისემიტიზმიც დამაბრალეს და მსოფლიო მასშტაბამდე გააბუქეს. საბაბი გახდა ჩემი სიტყვა წმ. ამბროსი მედიოლანელის ხსენებასთან დაკავშირებით. მისი პიროვნების, როგორც სახელმწიფო მოხელის და შემდეგ ეპისკოპოსის, შეფასების მიზნით გავიხსენე რამდენიმე ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, თუ როგორ განმუხტავდა იგი კონფლიქტურ სიტუაციებს. მან კარგად იცოდა, რომ კონფლიქტის ორივე მხარეს ჰქონდა თავისი სიმართლე და თავისი დანაშაული. თუ ორივე მხარე აღიარებდა თავის წილ დანაშაულს, მათი შერიგება გაადვილდებოდა. კონფლიქტი მოხდა იუდაურ თემსა და ქრისტიანებს შორის. ეს არ იყო ეთნიკური ხასიათის კონფლიქტი, მას რელიგიური ელფერი ჰქონდა, მაგრამ თავი და თავი ვერ რეალიზებულ ამბიციაზე გამრავლებული ისტორიული მეხსიერების მენტალობა იყო. პირველი კონფლიქტი ადამიდან დაიწყო. შემდეგ კაენმა ვითომ შელახული ამბიციის გამო ძმა მოკლა და ბოროტების ესკალაცია დღემდე გრძელდება. შეიძლება პარალელი გავავლოთ თეთრკანიანების მიმართ ზოგიერთი აფროამერიკელის აგრესიასთან, როგორც ოდესღაც დაშვებული უსამართლობის განცდის რეანიმაციასთან. ერთი მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება მეორის პროტესტს გამოიწვევდა, ამიტომ წმ. ამბროსიმ აღიარა ქრისტიანთა აგრესიული ქმედების შედეგი, მაგრამ იუდაური თემის წარმომადგენლებს გაახსენა, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, როდესაც ქრისტიანები დევნას განიცდიდნენ, მათი მხრიდან იყო ნეგატიური ქმედებები ქრისტიანების მიმართ და ამით განმუხტა დაძაბულობა.

ბატონი ვასილ კობახიძე სამხილებელ სიტყვაში აღიარებს ამ ფაქტის არსებობას, მაგრამ მიაჩნია, რომ მე არასწორი ინტერპრეტაცია გავაკეთე. სწორი ინტერპრეტაცია მას არ წარმოუდგენია, სამაგიეროდ, ფაშისტი მიწოდა. იმავე ხერხს მიმართა ბატონმა ბექა მინდიაშვილმა, მიიჩნია, რომ ზოგიერთი ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტი არ არის სწორი, თუმცა რა იყო არასწორი, არ დაასახელა, სამაგიეროდ, განაზოგადა ქრისტიანების მხრიდან ებრაელთა დევნა. სად? არ მიუთითა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ეს არ მომხდარა. ეს ავტორები კონკრეტულ ფაქტებს და არგუმენტებს გაურბიან, რაც დამახასიათებელია დემაგოგიური პროპაგანდისთვის.

ტერმინ „ანტისემიტიზმის“ ხმარება არასწორად მიმაჩნია, რადგან სემიტები, როგორც ნოეს შვილის სემის შთამომავლობა, მრავალეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ და ეს წოდება მარტო ებრაელებს არ ეკუთვნის, არც ტერმინი „სიონისტები“ მოიცავს ყველა ებრაელს. ეს კერძო პოლიტიკური მიმდინარეობაა.

როდესაც ვ. კობახიძე სწავლობდა თბილისის სასულიერო აკადემიაში, მე რექტორი ვიყავი და ვასწავლიდი ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წერილს. მაშინ იგი კრიტიკულ შენიშვნებს არ მაძლევდა. ეხლა კი ის მახსენებს, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მოციქულები ებრაელები იყვნენ. მე დავუმატებ, რომ უდიდესი მოძღვარი და წინამძღოლი ღვთის ერისა დღესაც მოსე წინასწარმეტყველია. ღმერთმა მას გამოუცხადა და მისგან გავიგეთ სამყაროს შექმნის საიდუმლო, ადამიანის წარმომავლობა და მისია. ებრაელი ერის მამამთავრების ხსენება მართლმადიდებელ ეკლესიაში ყოველთვის შობის დღესასწაულამდე ორი კვირით ადრე კვირა დღეს ხდება. აბრაამს, ისააკს და იაკობს ეკლესიაში სხვა დროსაც ვიხსენებთ და ვითხოვთ, რომ ღმერთმა მორწმუნეს განუსვენოს „წიაღსა შინა აბრაამისა და ისააკისა და იაკობისა“. ჩვენ ისიც ვიცით, რომ იაკობმა გარდაცვალების წინ აკურთხა თავისი შვილები და მათ შორის იუდას აუწყა, რომ მისგან იქნებოდნენ მეფეები და როცა შეწყდებოდა მეფეთა რიგი, მის მოდგმაში მოვიდოდა მხსნელი, ხოლო დანის ტომში დაიბადებოდა ანტიქრისტე.(???)

ჩემთვის სულიერი ცხოვრების გზაზე დიდი მასწავლებელია წმ. მეფე დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნი და მისი შვილის მეფე სოლომონის ეკლესიასტე (კოჰელეთ); წინასწარმეტყველმა დანიელმა ღვთისგან მიიღო უწყება ამქვეყნადქ რისტეს მოსვლის ჟამზე. ვიზიარებ წინასწარმეტყველ ესაიას სიტყვებს მესია-ქრისტეზე: „მან ცოდვანი ჩვენნი იტვირთა და უსჯულოებანი ჩვენნი თავს-იდვა“ (ეს.53,4), ხოლო დავითი ამბობს: „განხვრიტნეს ხელნი ჩემნი და ფერხნი ჩემნი... განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (ფს.21,17-19). ასევე ძვირფასია ესაიას სიტყვა ღვთის მშობელზე: „აჰა, ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ემანუელ (ჩვენთანა ღმერთი) (ეს.7,14). ხოლო მეფე დავითი ამბობს: „დადგა დედოფალი მარჯვენით შენსა, სამოსლითა ოქროქსოვილითა შემკული და შემოსილი... მიერთუნენ მეუფესა ქალწულნი შემდგომად მისსა“ (ფს.44,10; 15). ჩვენ წმინდა წერილი და ისიც ვიცით, როგორ დრტვინავდა ხალხი უდაბნოში მოსე წინასწარმეტყველზე; რის გამო ჰქონდა ბრძოლა ისრაელის თერთმეტ ტომს ბენიამინის ტომთან... ყველა ერის ისტორიაში არის დადებითი და უარყოფითი მოვლენები: დადებითი - გასამხნევებლად, უარყოფითი - გამოსაფხიზლებლად. განა საქართველოს ისტორიაშიც არ იყო ასე?! ვიღაც აშენებდა ტაძრებს, ვიღაც კი ანგრევდა. წმ. ილია მართალმა თუ ამხილა ქართველთა მანკიერებები: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“ - ილიას სძულდა ქართველები? თუ გული შესტკიოდა? განა პავლე მოციქული არ ამბობს: მზად ვარ დავიღუპო, თუ ჩემი ერი გადარჩება.

ბ. მინდიაშვილი როდესაც სემინარია-აკადემიაში სწავლობდა, მე ამ სასწავლებლის ხელმძღვანელი ვიყავი; მაშინ ხშირად მხედავდა და ისმენდა ჩემს სიტყვას, მაგრამ არ გავუკრიტიკებივარ, ეხლა როდესაც შორს არის, რას ხედავს? შორიდან უფრო კარგად ჩანს? ჩემს „ფაქტობრივ უზუსტობაზე“ არაფერს ამბობს და ზოგადად ქრისტიანობის უარყოფით შეფასებაზე გადადის, თუმცა კარგად იცის, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი ღვთისმსახურება ფსალმუნის სიტყვებით არის გაჯერებული, საცისკრო კანონის ძილისპირებში ხდება გახსენება ებრაელი ერის საღმრთო ისტორიისა - ეგვიპტიდან გამოსვლიდან ბაბილონში სამი ყრმის სასწაულამდე. სადღესასწაულო მწუხრის მსახურებაზე ყოველთვის იკითხება ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა სიტყვები. ასეთი ღრმა კავშირი აქვს ქრისტიანულ მართლმადიდებელ ეკლესიას ებრაელი ერის საღმრთო ისტორიასთან დაროგორ აბრალებს ბ. მინდიაშვილი სიძულვილს? როგორც ჩანს, მას თვითონ აქვს ეკლესიის მიმართ სიძულვილი. „თქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი, განირყუნნეს და ბილწ იქმნენ იგინი უსჯულოებითა“ (ფს.13,1; 52,2). სიძულვილით დაბინდული გონება ვერ განასხვავებს ეთნიკურ კუთვნილებას ცალკეული ადამიანის მენტალობისგან.

რისი დანახვაც უნდოდათ ჩემს ქადაგებაში, ვერ ნახეს და ეს სიცარიელე დემაგოგიური ფრაზეოლოგიით აავსეს, რაშიც მათი მიზანდასახულობა ჩანს.

უფალს უგონ პასუხი სიძულვილსა და ცილისწამებაზე.

ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი)

„ევროპული საქართველო“ ანტისემიტიზმს გმობს და ლაშა ჟვანიას გამოწვევას ითხოვს

„ცოტა ხნის წინ ჩვენ მოვისმინეთ გავლენიანი სასულიერო პირისგან სამარცხვინო ანტისემიტური განცხადება. ამას შემდეგ მოჰყვა უფრო დაბალი რანგის სასულიერო პირისგან კიდევ უფრო უტიფარი განცხადება ანტისემიტური და სიძულვილის მქადაგებელი, იმდენად უტიფარი, რომ პირველ სასულიერო პირს მისი დაგმობა მოუწია. ნებისმიერი რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფის მიმართ ქადაგება არის უზნეობა და სამარცხვინო საქციელი. განსაკუთრებით ანტისემიტიზმი, მთელი კაცობრიობის უახლესი ისტორიის გამო. ეს საქციელი არის საფრთხე და შეურაცხყოფა არა მხოლოდ ერთი რელიგიური ჯგუფის, ჩვენი ებრაელი მოქალაქეების, არამედ, საქართველოს ყველა მოქალაქის მიმართ.

ამ ვითარებაში კიდევ უფრო საგანგაშო იყო ისრაელში საქართველოს ელჩის, ჟვანიას სამარცხვინო განცხადება, რომელმაც პრაქტიკულად გაამართლა ეს სასულიერო პირი. კიდევ უფრო საგანგაშოა, რომ ამ სამარცხვინო განცხადებას არ მოჰყოლია არანაირი რეაქცია ივანიშვილის გუნდის სხვა წარმომადგენლებისგან. ჩვენ მოვისმინეთ საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება კი არა, სადღეგრძელო, სადაც მან ორი ერის მეგობრობაზე ისაუბრა და კონკრეტულად არ დაუგმია არც საწყისი ანტისემიტური განცხადებები და არც რეაქცია მიუცია მისი უწყების მიერ დანიშნული ელჩის სამარცხვინო საქციელზე. ჩვენი პოზიცია არის მკაფიო და ეს განცხადებები არის სამარცხვინო, უზნეო და მიმართულია ადამიანის თავისუფლების და ღირსების წინააღმდეგ და საფრთხეს წარმოადგენს. ამაზე ხელისუფლების რეაქცია უნდა იყოს მკაფიო და ელჩი ჟვანია არ შეიძლება ამ სამარცხვინო საქციელის შემდეგ თანამდებობაზე იყოს.

მოვითხოვთ მკაფიო პოზიციას და არა სადღეგრძელოებს, არამედ ამ განცხადების დაგმობას ივანიშვილის გარემოცვის წარმომადგენლებისგან და რეაქციას ჟვანიას გამოწვევის სახით. საგარეო საქმეთა მინისტრმა უნდა გამოიწვიოს ლაშა ჟვანია“. - თქვა ბოკერიამ.

www.tabula.ge

თეოლოგთა ნაწილი მიტროპოლიტ იოანეს განკვეთას ითხოვს

„ქართველ თეოლოგთა საშობაო ეპისტოლის“ გამოქვეყნების შემდეგ, სადაც, ჩვენ, ეკლესიაში არსებულ კატასტროფულ პრობლემებზე დავწერეთ, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი), ტელეკომპანია რუსთავი 2-ის კორესპოდენტს აღნიშნული ეპისტოლის ავტორებთან დაკავშირებით მრისხანედ განუცხადა, რომ „ისინი წარმართები არიან, სასულიერო განათლების მიღების უფლება მიეცათ პატრიარქისგან და ეს ბოროტად გამოიყენეს, ისვრიან ქვებსა და ტალახს...“

როგორც ვხედავთ, მეუფე იოანემ არ იკმარა რუსოფილია და ანტისემიტიზმი და კვლავ შეგვახსენა თავი მისთვის დამახასიათებელი აგრესიითა თუ ანტიქრისტიანული რიტორიკით.

ჩვენ, შეშფოთებულნი ვართ, ხსენებული მღვდელმთავრის ოდიოზური, უპასუხისმგებლო და ცილისმწამებლური განცხადებით, რითაც მან ურცხვად შეურაცხყო ჩვენი ნათლობის საიდუმლო, ჩვენ მიერ არაერთგზის, ერთგულებით დამოწმებული ქრისტიანულ რწმენა, პროფესიული სინდისი და საღვთისმეტყველო განათლება. ამასთან, ჩვენი სახით მან დააკნინა და შეურაცხყო სასულიერო სემინარიისა და აკადემიის კურსდამთავრებულ თეოლოგთა მრავალი თაობა.

მივმართავთ სინოდს: მოვითხოვთ საეკლესიო სასამართლოს - ბრალმდებელი მღვდელმთავრის თავხედურ და დამამცირებელ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მან მკრეხელურად შებღალა ჩვენი ღირსება, ნათლობის საიდუმლო და ველური ბრალდებით შეეცადა ჩვენს დისკრედიტაციას!

იმ შემთხვევაში, თუკი ის ჩვენდამი ნათქვამ ბრალდებებს ვერ დაადასტურებს, საეკლესიო სამართლით გათვალისწინებული იურიდიული ნორმების შესაბამისად მოვითხოვთ შესაბამის და საკადრის სანქციას აღნიშნულ საქციელთან დაკავშირებით, კერძოდ კი სასჯელის უმკაცრეს ზომას - მის განკვეთას სასულიერო ხარისხიდან!

თეოლოგები:

ზვიად ცაბაძე
გიორგი ტიგინაშვილი
ვლადი ნარსია
გოჩა ბარნოვი
გურამ ლურსმანაშვილი
დავით თინიკაშვილი
ვანო შოშიაშვილი
მიხეილ ნებიერიძე
დავით ნებიერიძე
გიორგი გეგუჩაძე
რატი ბიგანიშვილი
გურამ პაპავა
გოგა ესიავა

ეკლესიის ისტორიის მკვლევრები:

ბექა ჭიჭინაძე
შოთა მათითაშვილი

www.tabula.ge

მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინის, იაკობ გაგულაშვილის მიმართვა საქართველოს მოქალაქეებისადმი

მშვიდობა თქვენდა, ქართველებო და ებრაელებო, შალომი იყო, არის და იქნება ჩვენ შორის უკუნისამდე!

მავანთა ძალისხმევით, ამ დღეებში კვლავ „აქტუალური“ გახდა ისრაელიანთა სიძულვილის თემა საქართველოში. დიდ განსაცდელად მოგვევლინა ანტისემიტიზმის ტალღა ებრაელებს, დიდხანს იხეტიალა მთელ მსოფლიოში და ბევრი ცრემლი დაგვადინა. ახლაც შეგვახსენებს ხოლმე თავს სულისმღაფავი მხეცივით და ისევ სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს. ისტორია კი იწერს ყველაფერს, იწერს და კვლავ გვამეორებინებს წარსულს.

და რა იყო ჩვენი წარსული საქართველოში?

სულ მცირე, 26 საუკუნის ხანდაზმულობის ერთმანეთის პატივისცემა და მეგობრობა. შორეული წარსულიდან ამოსული ურთიერთობები ბერმუხასავითაა დაფესვიანებული ისტორიაში და ახალ არაწმინდა შენაკადებს ნაკლებად იკარებს. ამიტომაც, საბჭოთა საქართველოში თავსმოხვეული ანტისემიტიზმის იშვიათი ეპიზოდები არ იყო ქართული, არამედ იყო საბჭოთა და ისიც საკითხავია, ვის მიერ იყო ინსპირირებული. ამაზე მეტყველებს უამრავი პარალელი და კვეთა ორივე ერის კულტურაში, ენაში, ტრადიციებში. ორი კულტურა ისტორიულად ერთმანეთს კი არ ავიწროვებდა, არამედ ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა, ასე კი მტრები კი არა, მოყვრები იქცევიან.

რამდენჯერმე მქონდა შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან და მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. უკანასკნელად კი შარშან შევხვდი და გამიჭირდება სიტყვით გადმოგცეთ ის სიყვარული და ურთიერთპატივისცემა, რომელიც გარშემო სუფევდა. ვისაუბრეთ წარსულსა და მომავალზე, შევთანხმდით, რომ შეიქმნება წარმომადგენლობითი ერთობლივი „მრგვალი მაგიდა“, რომელიც ბევრ საჭირბოროტო საკითხს გაერთიანებული ძალებით გადაწყვეტს.

მე სრულიად თამამად ვაცხადებ, რომ წარმოუდგენელია იმ დიდ ოჯახში, რომლის მამამთავარიც პატივცემული საქართველოს პატრიარქი გახლავთ - ანტისემიტიზმი სუნთქავდეს, ამიტომ ყოველთვის დარწმუნებული ვიქნები, რომ საქართველოს საპატრიარქო არ არის ებრაელთა თემის მოძულე და ვერავის კონტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული ფრაზები და კათხაში ატეხილი ქარიშხალი ვერ შექმნის ამ ილუზიას, ამიტომ იყუჩე მტერო! არც ამ თემის საზოგადოებაში ტირაჟირებაა გონივრული, რადგან პირველ ყოვლისა, პროვოკაციების სამიზნედ ვხდით და ამავდროულად, ბევრ ლაპარაკში შეცდომასაც ბევრს ვუშვებთ და უნებურად შეიძლება უკვე შეხორცებულ ჭრილობას შევეხოთ და განა ტკივილი გვაკლია ჩვენ?

ეს ორივე ერისა და რელიგიის ღირსების საკითხია, ჩვენ ერთად უნდა განვაცხადოთ, რომ არაა დრო და მიზეზი ურთიერთმტრობის.

და თუ ცალკეული ეპიზოდების გახსენება გნებავთ, ჩვენს უმდიდრეს ისტორიას გადაავლეთ თვალი, ყველა კითხვაზე პასუხს იქ იხილავთ, საუკუნეებს მიღმა. განა ცოტა გვაქვს საამაყო უპრეცედენტო მეგობრობის მოსაგონარი, განა ცოტაჯერ გადაგვირჩენია ერთმანეთის სულიერი და ხორციელი არსებობა? - ეს გაიხსენეთ.

ჩვენ ორი უძველესი, ბრძენი ერი ვართ და ღვთის განგებულებით დამკვიდრებულნი გახლავართ უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიის მქონე ქვეყნებში, ამიტომაც ჰყავს ჩვენს კავშირს ბევრი არაკეთილმოსურნე და ეს არცერთმა არ უნდა დავივიწყოთ!

უმდიდრეს ისტორიაში გამობრძმედილმა ჩვენმა ტოლერანტობამ და რელიგიურმა შემწყნარებლობამ სახელმწიფოებრივი ურთიერთობების სრულიად ახალ განზომილებაში გადაინაცვლა. საქართველოში ჩემი ვიზიტები ყოველთვის დატვირთული იყო ოფიციალური შეხვედრებით სამთავრობო წრეებში, რომლის დროსაც განვიხილავდით არაერთ აქტუალურ საკითხს, მათ შორის, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ფორმაში. შევხვდი არა მხოლოდ პატრიარქს, არამედ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, პრემიერ მინისტრს - ბატონ გიორგი გახარიას, პარლამენტის თავმჯდომარეს - ბატონ არჩილ თალაკვაძეს, მინისტრებს, თბილისისა და სხვა ქალაქების ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებს, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს. ყველა შეხვედრის შესავალი და ლაიტმოტივი გახლდათ, რომ ჩვენი ერთობა უნიკალურია და ვერანაირი ძალა ვერ შეარყევს მას, არამედ იქნება ურყევი უკუნისამდე. და ახლაც ვამბობ - ჩვენი სიყვარულის მდინარე იმდენად ძლიერი, ჭეშმარიტი და ზეაღმატებულია, რომ მის ნაპირებზე ყველა ხინჯი და ტალახი წარიხოცება.

დიახ, სხვადასხვა რელიგია გვაქვს ისრაელიანებსა და ქრისტიანებს და რაი მერე?

არსებობს განსხვავებული რელიგიები, სხვადასხვა იდეოლოგიური კონცეპტითა და მსოფლმხედველობით, ყველას თავისი შეხედულება აქვს რიგ საკითხებზე, მაგრამ ჩვენი კულტურაც ეს გახლავთ, რომ მაინც ვახერხებდით მეგობრობას წარსულში და კვლავაც უნდა მოვახერხოთ, თუკი პრეტენზია გვაქვს თანამედროვე მსოფლიოს ჰუმანისტური საზოგადოების წევრობაზე.

დიპლომატიის დაუწერელი კანონი გახლავთ, მოლაპარაკების მაგიდასთან განსხვავებებზე აპელირებით მშვიდობას ვერ დასთეს და ვერც მოიმკი. ჩვენმა წმინდა მამებმა ყოველთვის შესანიშნავად უწყოდნენ, რომ სარწმუნოებრივი იდეოლოგიის მხრივ ქართველებსა და ისრაელიანებს შორის უფრო მეტი საერთოა, ვიდრე სხვაობა. და ეს საერთო - ერთი უფალი ღმერთია, მხედართმთავარი ცისა და ქვეყნის, ხოლო სადაც გამჩენი სუფევს, არაა ადგილი სიძულვილისა.

ამიტომ მე ვწყვეტ ამ თემაზე პოლემიკას. ყველა კითხვაზე პასუხი გაცემულია ისტორიის მიერ და იგი ჩვენს გენეტიკურ მეხსიერებაში ძევს. მოვუწოდებ გონიერ საზოგადოებას, ნუ აყვებით ერთი და იმავე სცენარით დაწერილ პროვოკაციებს, ნუ გააღვივებთ შუღლს, სთესეთ მშვიდობა - ეს დიდი მადლია.

ღმერთმა დალოცოს ისრაელი და საქართველო, ებრაელები და ქართველები, მადლობა გამჩენს ჩვენი ღირსეული წარსულისათვის და კიდევ უფრო ღირსეული მომავლისათვის!

პატივისცემით,
იაკობ გაგულაშვილი
მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი, აშდოდისა და იერუსალიმის მთავარი რელიგიური მოსამართლე

მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია „საქართველოს ეკლესიის ანტისემიტიზმზე“ წერს

„20 დეკემბრის წირვის განმავლობაში მიტროპოლიტმა იოანემ ებრაელი ერი რამდენჯერმე მოიხსენია შეურაცხმყოფელ კონტექსტში. მან ებრაელებს „ქრისტიანთა მდევნელები“ და „ურწმუნო მოდგმა“ უწოდა. მსგავსი სიტყვების გამოყენება კი ებრაელი ხალხისა და იუდაიზმის დემონიზაციაა და იმეორებს იმ საშიშ სტერეოტიპს, რომ მთელ ერს კოლექტიური პასუხისმგებლობა ეკისრება ქრისტეს ჯვარცმაზე“. – წერს მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია.

www.tabula.ge

საფრანგეთის ელჩი: ანტისემიტიზმი და რასიზმის ყველა სხვა ფორმა ყველგან მიუღებელია

საქართველოში საფრანგეთის ელჩი დიეგო კოლასი Facebook-ზე ისრაელის ელჩის, რან გიდორის განცხადებას გამოეხმაურა და მისდამი მხარდაჭერა გამოხატა:

„ვფიქრობ, რომ ანტისემიტიზმი და რასიზმისა და არატოლერანტობის ყველა სხვა ფორმა ყველგან მიუღებელია. რა თქმა უნდა, ეს მოიცავს ყველა მოძველებულ სტერეოტიპს, რომლის გამოც როგორც წარსულში, ისე ახლა, ებრაულ თემს ბევრი გაჭირვება შეხვდა“.

www.tabula.ge

მეუფე იოანეს ქადაგებასა და დეკანოზ ილია კირკაძის განცხადებასთან დაკავშირებით

ეს ამბავი თითქმის ორი ათეული წლის წინათ იყო: ძლიერ მეწადა, თბილისში — ამ უძველეს ქალაქში, ყოფილიყო იუდეის დიდი მეფის— ფსალმუნთა აშემქმნელის — დავითისა და მისი ძის შლომოს — სოლომონ ბრძენის — სახელობის ქუჩები. მახსოვდა, არ მავიწყდებოდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან პირველი შეხვედრისას მის მიერ ნათქვამი სიტყვები: საქართველოში არ არისო წუთი, რომ დავითის ფსალმუნი არ იკითხებოდეს — ყოველ ეკლესიაში, ყოველ წუთს იკითხებაო ფსალმუნი.

ჩემი მიზნის მისაღწევად—თბილისის ორ ქუჩაზე დიდ მეფეთა სახელის მინიჭების თაობაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორის მოსაზრება მაინტერესებდა— ჩემი ამ ძლიერი სურვილითა და ამ საქმის გასრულებისათვის მეცადინეობით, უნებურად რაიმე შეცდომას ხომ არ ვუშვებდი, სხვათა ღირსებას ხომ არ ხელვყოფდი. კათოლიკოს-პატრიარქის მდივან-რეფერენტს— ძვირფას შორენას დავურეკე მისი უწმინდესობის ნახვა მწადია-მეთქი. ნახევარ საათში გადმომირეკა, მობრძანდით, გელოდებათო. მივედი. უწმინდესი და უნეტარესი დაკავებული გახლდათ—ტელეფონზე საუბრობს, მალე განთავისუფლდებაო. დროის მოსაკლავად ფოიეში გავედი და საინტერესო სანახაობას წავაწყდი: კედლები მოფენილი გახლდათ საქართველოს ადრინდელი წლების კათოლიკოს-პატრიარქების სურათებით. ყურადღებით ვათვალიაერებდი—კედლებიდან გადმომყურებდნენ შთაგონებული მზერის, რწმენით გასხივოსნებული ადამიანების სახეები. არ დავფარავ, მე იუდეველი, ყოველი მათგანის მიმართ უდიდესი პატივისცემით ვივსებოდი. რატომ? იუდეველი ვარ, მჯეროდა, მჯერა — სიცოცხლის ბოლომდე ასეც იქნება—სამყაროს გამსახავის—უზენაესის მოძღვრებისა, შეძლების მიხედვით, იმასაც ვცდილობ, მის მცნებებს ვიცავდე.

მაშ, რატომ ვივსებოდი ესოდენი პატივისცემით კედლებზე გამოფენილი ქართველ ქრისტიანთა სულიერი მოძღვრების — ადრეული წლების საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების სახებათა მიმართ?

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ საქართველოში არ იყო ანტისემიტიზმი, დროდადრო ადგილი ჰქონდა ცალკეულ ანტისემიტურ ფაქტებს, როგორ არ ჰქონდა, მაგრამ იმ ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში, რაც ებრაელობა საქართველოში ცხოვრობს, ქართველი ხალხი პირნათელია კაცობრიობისა და მომავლის წინაშე, მის სულს არ გაკარებია ანტისემიტიზმის ბაცილები. ქართველები იყვნენ სულით ხორცამდე ქრისტიანები, ჰყავდათ უდიდესი შვილები, ქრისტიანობისათვის თავდადებული, წამებულნიც კი, ადამიანები, მაგრამ სხვათა რწმენის იავარყოფა, შელახვა არ უცდიათ. იცავდნენ თავისას და სხვებსაც აძლევდნენ თავთავიანთი რწმენით ცხოვრების საშუალებას.

ერში ვინ ამკვიდრებდა ამ სულისკვეთებას? ვინ ჩააგონებდა მას კაცთმოყვარეობას, სხვათა მიმართ პატივისცემას, გამტანობას? რასაკვირველია, ეკლესია, ქართველი მღვდელმთავრები იყვნენ და რჩებიან ქართველი კაცის—ამ ქრისტიანული ერის — სულიერების შთამაგონებლად და მოდარაჯედ. განა, მათ არ იცოდნენ, შორეულ, თუ ახლო საუკუნეებში რელიგიათა ურთიერთობის შავი ფურცლები, განა მათ არ იცოდნენ რაოდენ ძლიერი გახლდათ ახალი ღმერთის მაძიებელ ებრაელთა წინააღმდეგ ბრძოლა, ისიც იცოდნენ რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე როგორ აწამებდნენ იუდეველთ, რამდენი ტანჯვა-ვაება გამოატარეს, მაგრამ სიკეთისაკენ გახლდნენ მიდრეკილნი და ადამიანებს შორის მშვიდობიან ურთიერთობას ედგნენ დარაჯად. ეს გაცილებით რთულია, ვიდრე ადამიანებს, ერთა შორის ერესის გაღვივებაა. ისინი სიკეთისა და მშვიდობის რთული გზით მიდიოდნენ. ასე ზრდიდნენ თაობებს—ასე მოვიდნენ დღემდე და ჩემი დიდი პატივისცემა კედლებზე გადმოფენილ პერსონათა მიმართ, ამით გახლდათ განპირობებული.

იუდეის მეფეთა—დავითისა და სოლომონის სახელობის ქუჩები? მიზანს მივაღწიე: რამდენიმე ხანში ქალაქის მესვეურებმა სათანადო დადგენილებაც გამოიტანეს და 2007 წელს მეტეხის აღმართზე ქუჩებზე სახელის მინიჭების ცერემონიალიც შედგა. ამ დიდ ადამიანთა სახელის მისანიჭებელი შესაბამისი ადგილების ამ უბანში მოძიებაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მირჩია—ე მანდ ბადრი პატარკაციშვილის შემწეობით, დავითის სახელობის ტაძარიც ჩავდგით და იქნებ, რაიმეს მიაკვლიოთო. მივაკვლიე და პირველი მას ვახარე. გახსნის ცერემონიალზე მობრძანდა, ჩინებული სიტყვაც ბრძანა, ისევე როგორც საქართველოს მთავარმა რაბინმა — არიელ ლევინმა.

ასე ვვიდოდით, ასევე უნდა ვიაროთ!

გურამ გათიაშვილი

საქართველოს მოქალაქის პასუხი ქუთაისის სულხან-საბას დასახლების სამების ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ ილია კარკაძის ანტისემიტურ განცხადებას:

ბატონო ილია,

სანამ ჩემს სათქმელს გეტყვით, მანამდე, ცნობილი მეცნიერის და სხვათა შორის - ებრაელის, ალბერტ აინშტაინის სიტყვებს მოვიშველიებ: „სამყაროს ავი ძალა კი არ გაანადგურებს, არამედ ისინი - ვინც ყველაფერს ხედავენ და არაფერს აკეთებენ“.

მე ლაშა ვარ, ეთნიკურად ქართველი. მეხუთე დაბადების დღეზე, ჩემი წინაპრების მსგავსად, მართლმადიდებლად მომნათლეს; 1 დღის შემდეგ კი თბილისელ ებრაულ ოჯახში მიმიყვანეს ენების შესასწავლად. ასე, ერთი დღის განსხვავებით, ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა იუდაიზმი და ქრისტიანობა, ჯვარი და დავითის ვარსკვლავიც ერთნაირად მშობლიურია ჩემთვის.

რამდენიმე დღის წინ, თქვენ, ანტისემიტიზმი იქადაგეთ და მსოფლიო ისტორიის ყველაზე შავი ფურცლები გააცოცხლეთ; ბნელი ისტორიის, რომლის ნაწილსაც საქართველო არასოდეს წარმოადგენდა. ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მდიდარ ისტორიას ძალიან ცუდად გვასწავლიან, მაგრამ მე მოგიყვებით ჩვენი ერის რომელ ნაწილს ატკინეთ გული და რაც ჩაიდინეთ.

1 თვეში საქართველოს გასაბჭოების 100 წელი სრულდება. საბჭოეთის, რომელიც ებძოდა ყველაფერ ქართულს და ჩვენი ერი მხოლოდ მომღერალ-დამკვრელ-მოცეკვავე ცირკის დასის უამბიციო წევრებად წარმოედგინა. რეჟიმის მაშინდელი და თანამედროვე მოტრფიალეთა გულის გასახეთქად - მე ამ მიმართვას ქართულ ენაზე გწერთ.

ქართულ ენას რატომ გავუსვი ხაზი? მეოცე საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიის წნეხის მიუხედავად, საქართველოში წარმოუდგენელი მოვლენა იღებს სათავეს - ქვეყნის მასშტაბით ქართული სკოლები იხსნება. სკოლებს პატარა სოფლებში ხსნიან და მათი დაფუძნება-შენახვის ხარჯებს ადგილობრივი მოსახლეობა იღებს.

დიდია გლეხების და შეჭირვებული მოსახლეობის მიერ გაღებული თანხა.

1900 იანი წლების დასაწყისში, ზაქარია ჭიჭინაძე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამცხე-ჯავახეთის, ცხინვალის და კახეთის რეგიონებში მოგზაურობს და სკოლების გახსნის პროცესს პირადად აკვირდება. თავად ხედავს, რომ ყველა სოფელში - ებრაულ ლოცვასთან (სინაგოგა) უკვე მოქმედებს თორის სასწავლებელი, სადაც ბავშვები „ძველ ებრაულს“ და თორას სწავლობენ.

ჭიჭინაძე გაოცებას ვერ მალავს, რომ ქართული სკოლების გახნისათვის - ადგილობრივი ქართველი ებრაელები ყველანაირ გადასახადს საკუთარი სურვილით იხდიან. მათი შვილები სინაგოგის სასწავლებლებში აგრძელებენ რელიგიურ განათლებას, მაგრამ მათი ოჯახები სკოლების აშენება-შენახვის თანხებს მაინც იხდიან.

ბატონი ზაქარია იმასაც აღწერს, რომ საქართველოს ებრაელობის უდიდესი ნაწილი სიდუხჭირეში ცხოვრობს. ისინი, ისედაც იხდიდნენ თანხას საკუთარი სათემო ცხოვრებისთვის, მაგრამ ყველაზე მძიმე და გადამწყვეტ მომენტში ... ქართული ენის გადასარჩენად და საქართველოს მომავლის ყველაზე დიდი საფუძვლის ჩაყრაში - ქართული სკოლების დაარსებაში ღებულობენ მონაწილეობას.

ბატონო ილია, ძალიან დიდი შანსია, რომ ჩემი და თქვენი წინაპრები სწორედ ასეთ სკოლებში შევიდნენ წერა-კითხვის სასწავლებლად.

მე, ამ მიმართვას არ დავასრულებ ნეგატიურ ნოტაზე. ებრაული ფილოსოფია ყოველთვის იმედსა და ნათელი მომავლის ხედვაზე დგას, შესაბამისად, მე დიდი იმედი მაქვს, რომ უბრალო მოქალაქე, განურჩევლად „ჩინ-მენდლებისა“, ხმას ამოიღებს ანტისემიტიზმის ტალღისათვის საკადრისი პასუხის გაცემაში.

ანტისემიტიზმის ყველაზე ხელშესახები შედეგი აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკია. მანამ სანამ, ადამიანის ტონობით ნაწნავს, სათვალეს, ფეხსაცმელს თუ პირად

ნივთს იხილავთ - ჭიშკარი უნდა გაიაროთ, რომელზეც წერია „შრომა ათავისუფლებს“. არა, ერთადერთი რაც გაგვათავისუფლებს არის ცოდნა და განათლება. გაუნათლებლობა არის ის სენი - რის გამოც ვჭამთ ერთმანეთს, მუშტის ოდენა ქვეყნის ერთი მუჭა მოსახლეობა.

მადლობა მათ, ვინც ეს წერილი ბოლომდე წაიკითხეთ. ნუ დაელოდებით, რომ ვინმე თქვენს ნაცვლად გადადგამს ნებისმიერი ფობიის თუ სიძულვილის გამოვლინების საწინააღმდეგო ნაბიჯს. და თუ რაიმე ნიშანს ელით - საკუთარ გამოსახულებას შეხედეთ, სარკეში.

ლაშა შაყულაშვილი

წიგნი, რომელსაც ველოდით

იერუშალაიმის უნივერსიტეტის გამომცემლობა „მაგნესმა“ ახლახანს გამოსცა პროფესორ რეუვენ ენოხის (ენუქაშვილის) ორტომიანი წიგნი „ებრაელთა ქართულის ლექსიკა“ (1255 გვერდი). ეს არის ავტორის ხანგრძლივი შრომის ნაყოფი, რომლის შესახებაც ინფორმაცია უკვე გვქონდა და ყველა ის, ვინც იცოდა, ამ დიდი გამოკვლევის მზადების თაობაზე, მოუთმენლად ელოდა მის გამოსვლას.

სხვათა შორის, ეს ორი წიგნი ბატონი რეუვენის მეოთხე და მეხუთე ნაშრომებია, რომლებიც ამ საქვეყნოდ ცნობილმა გამომცემლობამ გამოაქვეყნა (პირველი გახლდათ „ბერეშითის“ ტრადიციული ქართულ-ებრაული თარგმანის — „თავსილის“ მეცნირული გამოცემა, მეორე წიგნი ამ თარგმანის ანალიზს მიეძღვნა, მესამე წიგნში დასტამბულია ფესახის აგადის თავსილისეული ტექსტი და მისი გამოკვლევა). ცხადია, ეს ფაქტი რეუვენ ენახის მეცნიეულ მიღწევათა აღიარებაა, მაგრამ უფრო მეტად ქართველ ებრაელთა მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი კულტურითა და ტრადიციებით დიდი დაინტერესების დასტური .

ერთ-ერთ ინტერვიუში და თვით წიგნის შესავალშიც, ავტორი მოკრძალებით აღნიშნავს, რომ ეს მისი ოცდახუთწლიანი მუშაობის ნაყოფია, მაგრამ ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ რეუვენ ენოხმა მასზე მუშაობა სტუდენტობის პერიოდში დაიწყო აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხელმძღვანელობით, როდესაც პირველად ჩაიწერა ბანძის ებრაელთა მეტყველების ნიმუშები, მაგრამ შემდეგ პროექტზე მუშაობა დიდი ხნით შეწყდა. რეუვენი ნახევრად მალულად განაგრძობდა მუშაობას და ნახევრად პარტიზანულად ქუთაისის, თბილისის, კულაშის და ებრაელებით დასახლებული სხვა დაბა-ქალაქების სალოცავების ეზოებში იწერდა მასალებს. მუშაობა მეტ-ნაკლებად განახლდა „პერესტროიკის“ წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ებრაელთაგან ებრაელთა დამახასიათებელი მეტყველების ნიმუშების ჩაწერას ერთი სირთულე ახლავს: მათს დიდ უმეტესობას მშვენივრად შეუძლია აბსოლუტურად გამართულ სალიტერატურო ქართულით ლაპარაკი და, როგორც კი შეამჩნევს, რომ მის მეტყველებას იწერენ, მყისვე თავს ანებებს ქართველ ებრაელთა ფორმების გამოყენებას. ამიტომ გამომგონებლობაა საჭირო, რომ ეს თავისებურებანი გამოხატონ. რეუვენ ენოხი ამბობს, რომ ამ სირთულისაგან გამოსავალი მხოლოდ ისრაელში ამოსვლის შემდეგ იპოვა; ცნობილია, რომ არ შეიძლება ადამიანის უფლებათა დარღვევა და მისთვის შეუტყობინებლად ჩაწერა, მაგრამ როცა საჯარო საუბარი მიმდინარეობს, ეს უკვე შესაძლებელია. ამიტომაც წიგნის ავტორი ქართველ ებრაელთა თითქმის ყველა თავყრილობაზე ფურცლითა და ფანქრით შეიარაღებული მიდიოდა და ამ გზით არის ჩაწერილი მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი. რა თქმა უნდა, მას ჰყავდა მთქმელებიც, რომელთაც დიდი მადლობით იხსენიებს. უპირველეს ყოვლისა საკუთარი ოჯახის წევრები - დედა, ქალბატონი ლუბა, რომელიც მასალის ერთ-ერთი უმთავრესი მიმწოდებელი იყო, და მეუღლე, ქალბატონი ინგა. რეუვენ ენოხი წიგნის შესავალში ჩამოთვლის და მადლობას მოახსენებს თავის ყველა ინფორმატორს. განსაკუთრებით გამოყოფს დოქტორ დავით ბოთერას.სხვა ინფორმატორთა ვინაობის გაცნობა კი შეიძლება წიგნის შესავალში ისევე, როგორც ყველა იმ პირისა, ვინც ავტორს დახმარება აღმოუჩინა

წიგნის წერასა თუ ტექნიკურ გაფორმებაში.

წიგნის ამ სახით გამოცემის იდეა საბოლოოდა გაფორმდა მას შემდეგ, რაც რეუვენ ენოხმა მონაწილეობა მიიღო პროფესორ დონალდ რაიფელის რედაქციით გამოცემული ქართულ-ინგლისური ლექსიკონის შექმნაში. აქ შეტანილია რეუვენ ენოხის მიერ შეგროვილი რამდენიმე ათასი ნიმუში ქართველ ებრაელთა მეტყველებისა.

როგორც უკვე ითქვა, ორივე ტომი ერთად 1250 გვერდზე მეტს შეიცავს. თითოეულ გვერდზე ორი სვეტია. თითოეული ნაკვეთი კი ხუთ ნაწილს შეიცავს. პირველად მოდის ქართველ ებრაელთა ლექსიკური ერთეულის საერთაშორისო ტრანსლიტერაცია, რასაც მოსდევს სათანადო ერთეული ქართულად. შემდეგ წარმოდგენილია მისი ქართული თარგმანი, შემდეგ ადგილს იჭერს ივრითული თარგმანი, და ბოლოს ინგლისური თარმანია მოთავსებული. ასე რომ წიგნის მიხედვით ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუშების გაცნობა მათაც შეუძლიათ, ვინც ქართული არ იცის. ისეთ პირობებში, როცა არა გვაქვს ქართულ-ივრითული ლექსიკონი, ამ წიგნს ამგვარი ლექსიკონის როლის შესრულებაც შეუძლია.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ქართველ ებრაელთა კულტურითა და ისტორიით დაინტერესებულ პირებს. და, ბოლოს, წიგნი საინტერესოა ქართული ენის მკვლევრებისთვისაც, რამდენადაც მასში დამოწმებულია მრავალი უნიკალური ქართული ფორმა, რომელთა დიდი ნაწილი ქართულში აღარ არსებობს.

ვულოცავთ ავტორს და მთელ ქართველ ებრაელობას ამ უნიკალური წიგნის გამოქვეყნებას.

უშანგი რიჟინაშვილი — 80



ვინც ასეთუისე იცნობს მეოცე საუკუნის საქართველოს ებრაელობის ყოფას, ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ პროცესს, უსათუოდ ეცოდინება უშანგი რიჟინაშვილის თაობაზე — იგი არცერთ სფეროში არ გახლდათ შეუმჩნეველი პიროვნება — მონაწილეობდა საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მნიშვნელოვანი კი მისი ლიტერატურული ცხოვრება გახლდათ. რუსულ ენაზე წერდა და წერს დღესაც. ქართული მწერლობის რუსული ფრთის წარმომადგენელი მშვენიერი პოეტური კრებულით წარსდგა მკითხველის წინაშე. იმ წლებში გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში ვმუშაობდი. გაზეთის რედაქტორმა იოსებ ნონეშვილმა ამ ახალგაზრდა პოეტის ლექსების წიგნი გადმომცა. მაშინ გავიგე ამ პოეტის არსებობის თაობაზე. წიგნს პატარა წერილით შევეხმიანე და რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, უშაგიმდე ერთობ მომხიბლავი პიროვნება — მისი მამა გავიცანი. ერთობ კმაყოფილი გახლდათ, მისი შვილის პოეტური დებიუტი ლიტერატურული გაზეთის ყურადღების ობიექტი რომ გახდა.

მომდევნო წლებში უშანგი პროზის წიაღშიც შეიჭრა და ქართული მწერლობის რუსულენოვანთა ფრთაში ადგილიც დაიმკვიდრა — ყურადღება მიიქცია, როგორც დახვეწილი სტილის, ადამიანის სულიერი მდგომარეობის მკვლევარმა, მისი განცდების წარმომჩენმა ავტორმა. ასე რომ, უშანგი რიჟინაშვილი, ვიდრე საქართველოში გახლდათ, აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას ეწეოდა და უთუოდ გამოირჩეოდა.

რუსულენოვანი მწერალი გახლდათ, მაგრამ იმის გამო, რომ ქართულ ყოფას უტრიალებდა, მის წიაღში ჰპოვებდა შემოქმედებით საზრდოს, ქართული სამწერლო ყოფის განუყრელი ნაწილი გახდა — ქართული მწერლობისათვის ირჯებოდა, ხოლო როგორც ებრაელი კაცი, აქაც მოწოდების სიმაღლეზე გახლდათ — გვახსოვს მის მიერ ორგანიზებული ქართველ მწერალთა სტუმრობა ისრაელში მუხრან მაჭავარიანის მეთაურობით.

უკვე კარგა ხანია უშანგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, მაგრამ თავისი გზასავალი არ დაუკარგავს — ერთგულად მისდევს. — ცდილობს საქართველოს ყოფა, განსაკუთრებით პოლიტიკური, კარგად იცოდეს და შეძლებისდაგვარად შეეწიოს კიდეც.

ახლახან უშანგი რიჟინაშვილს 80 წელი შეუსრულდა. იგი მხნედ, ღირსეულად მივიდა ამ ასაკამდე და კვლავაც შემართებულად ცხოვრობს.

ჯანმრთელობა, შემოქმედებითი გამარჯვებები ვუსურვოთ ამ ღირსეულ პიროვნებას და შემოქმედს.

გურამ ბათიაშვილი.

მშვიდობით, ძვირფასო!
(შალვა ბოთერაშვილის ხსოვნას)

გერმანიაში, ქალაქ ახენში გარდაიცვალა ჩვენი უახლოესი ნათესავი და მეგობარი, ღირსეული პიროვნება — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი შალვა ბოთერაშვილი.

თბილისში კარგად ცნობილი პიროვნების ალექსანდრე ბოთერაშვილისა და როზა აჯიაშვილის ოჯახში ერთადერთი ვაჟი — შალვა 1946 წლის 18 ოქტომბერს თბილისში დაიბადა. სწავლობდა დედაქალაქის პირველ საშუალო სკოლაში, იგი 1964 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა და სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო, რომელიც წარმატებით გაასრულა.

შალვა წლების განმავლობაში მუშაობდა მოსკოვში, აკადემიკოს ი. ვიშნევსკის სახ, ქირურგიის ინდტიტუტში, სადაც დაიცვა დისერტაცია. ზოგი ჩვენგანი ჩასული გახლდით მოსკოვში და ძვირფასი ნათესავის, ახლობლის პროფესიული ცოდნის ჩინებული დემონსტრირების მონაწილე გავხდით. წინა საუკუნის ბოლო მონაკვეთში კი შალვა და მისი მეუღლე — გეტა დავითიაშვილი გერმანიაში გადასახლდნენ. თავისი პროფესიონალიზმით, შრომის მაღალი კულტურით, შალვა აქაც ყურადღების ცენტრში მოექცა — შალვა ქალაქ ახენის სამედიცინო წრეების ერთ-ერთ ჩინებულ, გამორჩეულ წევრად იქცა.

შალვა ბოთერაშვილი გახლდათ ერთობ კეთილშობილი, განათლებული, დიდი შინაგანი კულტურით აღვსილი პიროვნება, მასში ეროვნულ და პროფესიული ღირსებას თანაბარი — უმაღლესი ადგილი ეჭირა. ამ პრინციპით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო — იქნებოდა ეს მშობლიური საქართველო, თუ უცხოეთის ქვეყნები, ხოლო რაც შეეხება, სანათესაოსადმი გამოჩენილ პროფესიულსა, თუ ადამიანურ ყურადღებას, უბადლო გახლდათ. ასეთივე იყო იგი მეგობარ — ამხანაგებისა და თანაკლასელების მიმართ.

შალვა ამ წელიწადნახევრის წინათ — 2019 წლის აგვისტოში — მთელი ოჯახით ჩამოვიდა საქართველოში. შვილშვილის — მშვენიერი სტეფანის — ბათ მიცვა აქ, თბილისში გადაიხადა, შეხვდა ნათესავებს, მეგობრებს — დიდი სიხარულის მომტანი გახლდათ საშუალო სკოლის დამთავრების 55 წლისთავის თბილისში აღნიშვნა.

გამოვთქვამთ დიდ მწუხარებას ჩვენთვის ერთობ ძვირფასი ადამიანის — შალვა ბოთერაშვილის გარდაცვალების გამო — ეს ჩვენი დიდი ტკივილია. ვუსამძიმრებთ შალვას მეუღლეს — ჩვენს საყვარელ რძალს — გეტა დავითიაშვილს, შვილებს: მარინესა და ზურაბ ბოთერაშვილებს.

გვჯერა, შალვა იქ დაიმკვიდრებს ადგილს, სადაც მართალნი განისვენებენ.

აჯიაშვილი ფილხაზ, ბათიაშვილი გურამ,
ბათიაშვილი მალხაზ, ბათიაშვილი-წიწუაშვილისა ნათელა, ელიგულაშვილი-აჯიაშვილისა ნონა,
იზრაელაშვილი მერაბ,
იზრაელაშვილი-სეფიაშვილისა მერი,
ციციაშვილი-აჯიაშვილისა ხათუნა, წიწუაშვილი ილია.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 ბ-557
9771987898003